საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 428 2017 წლის 13 სექტემბერი ქ. თბილისი

„უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში (სსმ, 13/05/2010, მუხლი 839) შეტანილ იქნეს ცვლილება და 1^1 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საქართველოში უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობის, თეატრების სადადგმო და ანსამბლების, ორკესტრების, მუსიკალური ცენტრების შემოქმედებითი და სახელოვნებო სასწავლებლების სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფის, ქართული

კინომემკვიდრეობის საქართველოში დაბრუნების, სამეცნიერო და არქეოლოგიური კვლევების, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაციის, მუზეუმების მიერ ორგანიზებული აქტივობებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და გავრცელების მიზნით დასადებ ხელშეკრულებათა პროექტებზე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**